პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი 35-ე წელი | № 87 (10173) | ოთხშაბათი, 13 აპრილი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიისა და მთავრობის მოწოდებით — კოლმეურნეობებში საამუშაოდ!

სურათზე — თბილისის მუშაკთა ჯგუფი, რომელთაც სურვილი გამოცხადეს წავიდნენ კოლმეურნეობებში ხელმძღვანელ სამუშაოზე. სხედან (მარცხნიდან მარჯვნივ): ვ. წიკლაური, ა. ხაზალია, ა. კოკილაშვილი, დ. ცხომარია, ს. ფირცხალავა, შ. კოშაძე. დგანან: ვ. აბაკელია, ვ. გელქანია, შ. გურგენიძე, შ. ჩიმაკაძე, ზ. კოტბერიძე, გ. საგანელიძე, ვ. გედევანიშვილი, ს. ზირინიანი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის და დედაქალაქის დაწესებულებების მუშაკთა ჯგუფის წერილი, რომელთაც სურვილი გამოთქვეს წავიდნენ ხელმძღვანელ სამუშაოზე კოლმეურნეობებში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს გადაწყვეტილება 1955 წლის ივლისამდე შერჩეულ იქნას და ნებაყოფლობის საწყისებზე კოლმეურნეობებში ხელმძღვანელ სამუშაოზე გაიგზავნოს სულ ცოტა 30 ათასი გამოცდილი მუშაკი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, მუშებისა და მოსამსახურეების შემადგენლობიდან.

ჩვენ დიდი ყურადღებით გავეცანით პარტიისა და მთავრობის ამ გადაწყვეტილებას ჩამორჩენილი კოლმეურნეობების ხელმძღვანელი კადრებით განმტკიცების შესახებ და მხურვალედ ვიწონებთ მას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა დასახა გრანდიოზული ამოცანა — უახლოეს ხუთ-ექვს წელიწადში მარცვლეულის ყოველწლიური საერთო მოსავალი აყვანილ იქნას სულ ცოტა 10 მილიარდ ფუთამდე და მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება გადიდდეს ერთიორად და უფრო მეტად. ამ ამოცანის წარმატებით განხორციელებას დიდად შეუწყობს ხელს ჩამორჩენილი კოლმეურნეობების მოწინავეთა დონემდე აყვანა.

ამისათვის საჭიროა ყველა ზომა მივიღოთ ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობების გაძლიერებისათვის, მათი კადრებით განმტკიცებისათვის. უეჭველია ამ საქმეში მთავარ როლს შეასრულებენ ჩვენი ქალაქები და სამრეწველო ცენტრები, რომლებსაც საუკეთესო, ნიჭიერი კადრები ჰყავთ. აუცილებელია სოფლად გაიგზავნონ ყველაზე მოწინავე, პოლიტიკურად მომწიფებული ადამიანები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს მუშაობაში და არ შებღალავენ თავიანთი წარმგზავნელი საწარმოსა თუ დაწესებულების კოლექტივის სახელს.

საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თავდადებით შრომობს იმისათვის, რომ მოკლე ვადებში მიაღწიოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მკვეთრად გადიდებას. ყოველი კოლმეურნეობის სათავეში უნდა იდგეს საკოლმეურნეო წარმოების ნიჭიერი ორგანიზატორი, რომელსაც აქვს უნარი დარაზმოს მასები პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის სიმტკიცელად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვის პასუხად, ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მუშაკების მაგალითისამებრ, ჩვენ გამოვთქვამთ მზადყოფნას წავიდეთ სოფლად მუდმივად სამუშაოდ. კარგად გვესმის, რომ კოლმეურნეობებში ხელმძღვანელ სამუშაოზე ცოტა სიძნელე როდი შეგვხვდება, მაგრამ საბჭოთა ადამიანები სიძნელეებს არ გაურბიან, ისინი ებრძვიან ამ სიძნელეებს და სძლევენ მათ. ჩვენ აღგვაფრთოვანებს იმის შეგნება, რომ, წავალთ რა კოლმეურნეობებში ხელმძღვანელ სამუშაოზე, საშუალება მოგვეცემა უშუალო მონაწილეობა მივიღოთ მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდებისათვის კომუნისტური პარტიის მიერ დასახული პროგრამის პრაქტიკულად განხორციელებისათვის ბრძოლაში. პირობას ვდებთ, რომ ვიქნებით მშობლიური კომუნისტური პარტიის, სახელოვანი მუშათა კლასისა და საბჭოთა ინტელიგენციის ნამდვილი წარგზავნილები სოფლად. მთელ ჩვენს ძალღონესა და უნარს მოვახმართ იმას, რომ პირნათლად გავამართლოთ ეს მაღალი ნდობა.

მოწოდებით მივმართავთ ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების საწარმოთა და დაწესებულებათა კოლექტივებს, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს ფართოდ გამოეხმაურონ პარტიისა და მთავრობის მოწოდებას კოლმეურნეობებში სამუშაოდ წასვლის შესახებ.

ბრძოლა სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის საერთო-სახალხო საქმეა.

ს. ფირცხალავა — სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ამწყობი საამქროს პარტბიუროს მდივანი.

ს. ზირინიანი — სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე, ხარატი.

შ. კოშაძე — სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის სამანქანო-საღებავი ბიუროს უფროსი.

შ. გურგენიძე — სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის სამგზავრო-სავაგონო საამქროს ოსტატი.

შ. ჩიმაკაძე — სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის სამონტაჟო საამქროს უფროსის მოადგილე, საამქროს პარტორგანიზაციის მდივანი.

ვ. გელქანია — საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოს ცენტრალური ბაზის მთავარი ინჟინერ-მექანიზატორი.

ა. ხაზალია — საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოს ცენტრალური ბაზის დირექტორი.

ზ. კოტბერიძე — საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოს უფროსი საქონელმცოდნე.

ა. კოკილაშვილი — გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილე.

დ. ცხომარია — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდისა და მეცნიერების მთავარი სამმართველოს უფროსი აგრონომი, დოცენტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

ვ. წიკლაური — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სატყეო მეურნეობისა და ტყის გაშენება-დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე.

გ. საგანელიძე — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საორგანიზაციო-საკოლმეურნეო საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსი ინსპექტორი, აგრონომ-ეკონომისტი.

ვ. გედევანიშვილი — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცხოველეობისა და ვეტერინარიის მთავარი სამმართველოს ზოოტექნიკოსი.

ვ. აბაკელია — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საორგანიზაციო-საკოლმეურნეო საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსი ინსპექტორ-ბუხგალტერი.

★ ★ ★

პარტიისა და მთავრობის მოწოდებამ საკოლმეურნეო სოფლისათვის კადრებით დახმარების გაწევის შესახებ სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივის მხურვალე მოწონება ჰპოვა. მარტო ორ დღეში ქარხნის პარტიულ კომიტეტში კოლმეურნეობებში სამუშაოდ წასვლელთა 25-მდე განცხადება შემოვიდა.

11 აპრილს საწარმოში გაიმართა მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრება.

კოლმეურნეობაში ხელმძღვანელ სამუშაოზე წასვლის სურვილი გამოთქვა ქარხნის სამანქანო-საღებავი ბიუროს უფროსმა ამხ. შ. კოშაძემ.

სიტყვით გამოვიდა ამწყობი საამქროს პარტბიუროს მდივანი ამხ. ს. ფირცხალავა.

თავიანთ გადაწყვეტილებაზე — წავიდნენ სოფლად სამუშაოდ ილაპარაკეს აგრეთვე სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა: სამგზავრო-სავაგონო საამქროს ოსტატმა შ. გურგენიძემ, ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილემ ხარატმა ს. ზირინიანმა და სხვებმა.

ქარხნის დირექტორმა ამხ. გ. მაცაბერიძემ მოხალისეებს აღუთქვა, რომ საწარმოს კოლექტივი მათ განუწყვეტლივ გაუწევს დახმარებას ჩამორჩენილი კოლმეურნეობების მოწინავეთა დონემდე აყვანის საქმეში.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ.

* * *

სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ მთავრობის სასახლეში შედგა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და საქართველოს საბჭოთა მეურნეობების სამინისტროების თანამშრომელთა საერთო კრება.

სამინისტროების მუშაკები მხურვალედ გამოეხმაურნენ პარტიისა და მთავრობის მოწოდებას ჩამორჩენილი კოლმეურნეობების ხელმძღვანელი კადრებით განმტკიცების შესახებ.

პატრიოტული სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდისა და მეცნიერების მთავარი სამმართველოს უფროსმა აგრონომმა, დოცენტმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა ამხ. დ. ცხომარიამ.

კოლმეურნეობებში ხელმძღვანელ სამუშაოზე წასვლის მხურვალე სურვილი გამოთქვეს აგრეთვე ამხ. ვ. ბელქანიამ, ვ. წიკლაურმა, გ. საგანელიძემ, ა. ხაზალიამ, ვ. აბაკელიამ, ვ. გედევანიშვილმა და სხვებმა.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. გიორგაძემ.

ნ. ა. ბულგანინმა მიიღო ავსტრიის მთავრობის დელეგაცია

12 აპრილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა მიიღო ავსტრიის მთავრობის დელეგაციის მეთაური ავსტრიის ფედერალური კანცლერი ბ-ნი ი. რააბი და დელეგაციის წევრები ვიცე-კანცლერი ბ-ნი ა. შერფი, საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ლ. ფიგლი და საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი ბ-ნი ბ. კრეისკი. დელეგაციას თან ახლდა ავსტრიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ნ. ბიშოფი.

მიღებას დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი, აგრეთვე სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი და უმაღლესი კომისარი ავსტრიაში ი. ი. ილიჩოვი. (საკდესი).

ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ავსტრიის მთავრობის დელეგაცია

12 აპრილს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ავსტრიის მთავრობის დელეგაციის მეთაური ავსტრიის ფედერალური კანცლერი ბ-ნი ი. რააბი და დელეგაციის წევრები ვიცე-კანცლერი ბ-ნი ა. შერფი, საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ლ. ფიგლი და საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი ბ-ნი ბ. კრეისკი. დელეგაციას თან ახლდა ავსტრიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ნ. ბიშოფი.

მიღებას დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი და სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი და უმაღლესი კომისარი ავსტრიაში ი. ი. ილიჩოვი. (საკდესი).

გავაუმჯობესოთ პარტიის რაიკომების ინსტრუქტორთა ჯგუფების მუშაობა

პარტიის სასოფლო რაიკომების აპარატის გარდაქმნამ, მტს-ების ზონების მიხედვით ინსტრუქტორთა ჯგუფების შექმნამ მნიშვნელოვნად გაუმჯობესა პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა სოფლად. პარტიის რაიკომები და ინსტრუქტორთა ჯგუფები მოწოდებული არიან იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებების პრაქტიკულად განხორციელებისათვის ბრძოლის ნამდვილი ორგანიზატორები.

ამ მხრივ საყურადღებოა საქმიანობა პარტიის წითელწყაროს რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფებისა, რომელთა გამოცდილებაზე ამ დღეებში წერდა „კომუნისტი“. წელიწადზე მეტია, რაც პარტიის წითელწყაროს რაიკომთან შეიქმნა ინსტრუქტორთა ჯგუფები მტს-ების ზონების მიხედვით. ამის შედეგად სოფლის მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობა უფრო ოცხალი, კონკრეტული და ოპერატიული გახდა. ინსტრუქტორთა ჯგუფები პირველადი პარტიული ორგანიზაციების დახმარებით ყოველდღიურ პოლიტიკურ მუშაობას ეწევიან სოფლის მშრომელებში, რომლებიც წარმატებით ძლევენ ნაკლოვანებებს და აღწევენ პირველ წარმატებებს კოლმეურნეობათა სამეურნეო და ორგანიზაციული განმტკიცების საქმეში. პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სიმინდის ნათესების გაფართოებას და მოსავლიანობის ამაღლებას.

ასევე ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან პარტიის სტალინირის რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფები. მათი მთავარი საზრუნავია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა უბნის განმტკიცება კვალიფიციური კადრებით, გამოცდილი და საქმის მცოდნე ადამიანებით, რომლებსაც უნარი შესწევთ უხელმძღვანელონ მასებს, განავითარონ მშრომელთა ინიციატივა და აქტივობა. რაიკომის მდივნები მტს-ების ზონებში და ინსტრუქტორები აქტიურ მონაწილეობას იღებენ კოლმეურნეობათა პერსპექტიული გეგმების შედგენაში, გულდასმით სწავლობენ საკოლმეურნეო წარმოების რეზერვებს, ურჩევენ კოლმეურნეებს, როგორ გამოიყენონ ეს რეზერვები მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის.

პარტიის რაიკომების ინსტრუქტორთა ჯგუფებმა ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში გარკვეული მუშაობა გასწიეს და მნიშვნელოვანი გამოცდილება შეიძინეს. მაგრამ ამასთან ერთად, როგორც ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა აღნიშნა, ბევრი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია სუსტად ეწევა თავისი მუშაობის გარდაქმნას პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების მოთხოვნების შესაბამისად. ზოგიერთი რაიკომი კვლავ ძველებურად მუშაობს, ინსტრუქტორთა ჯგუფები და მტს-ების ხელმძღვანელები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ კოლმეურნეობებში მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საკითხებს.

დუშეთის რაიონის სოფლის მეურნეობაში მეცხვარეობა ერთ-ერთი წამყვანი დარგია. ამიტომ მთელი ყურადღება რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფისა, რომელიც 12 კაცისაგან შედგება, მიმართული უნდა იყოს მწყემსთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებისაკენ. მაგრამ ეს ასე როდია. რაიკომმა აქამდე ვერ შეძლო, რომ ზონის 12 ინსტრუქტორიდან რამდენიმე მაინც გაეგზავნა ხაზამთარო საძოვრებზე. ინსტრუქტორთა ჯგუფის მნიშვნელობისა და როლის შეუფასებლობის შედეგად მეცხოველეობის ფერმებში აქამდე არ არის შექმნილი პარტიული ჯგუფები, სუსტადაა გაშლილი პოლიტიკური აგიტაცია.

ინსტრუქტორთა ჯგუფების უპირველესი მოვალეობაა იმუშაონ ადამიანებთან, განუწყვეტლივ ეწეოდნენ მასებში ორგანიზაციულ და პოლიტიკურ საქმიანობას. მაგრამ ფაქტები მოწმობენ, რომ რაიკომის ბევრი მდივანი მტს-ის ზონაში და ინსტრუქტორი გართულია ქაღალდების წერით და დროს ვერ შოულობს კოლმეურნეობებში წავიდეს. მაგალითად, პარტიის ცხაკაიას რაიკომის ზოგიერთი ინსტრუქტორი, ნაცვლად იმისა, რომ კოლმეურნეობებში იმყოფებოდეს და თავისი საქმიანობით ხელს უწყობდეს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებას, თითქმის მთელ დროს რაიონის ცენტრში ატარებს. ამ მხრივ საგულისხმოა ზონის ინსტრუქტორის ე. კვირკველიას მაგალითი, რომელსაც რაიკომში ხშირად ავალებენ სხვადასხვა დადგენილებების პროექტებისა და მოხსენებების დაწერას. გასაგებია, რომ ასეთი დავალებით დატვირთულ ინსტრუქტორს დრო აღარ რჩება იმისათვის, რომ თავისი უშუალო მოვალეობა შეასრულოს.

ამოცანა ის არის, რომ ყოველმხრივ ავამაღლოთ ინსტრუქტორთა ჯგუფების როლი, გავაძლიეროთ მათი პასუხისმგებლობა კოლმეურნეობებისა და მტს-ების საქმიანობისათვის. სოფლად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დაყენებისათვის. საჭიროა პარტიის რაიკომებმა და ინსტრუქტორთა ჯგუფებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ მიმდინარე წელსვე მნიშვნელოვნად გადიდდეს მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, უზრუნველყოფილ იქნას საგაზაფხულო თესვის საუკეთესოდ ჩატარება. საგაზაფხულო თესვა მნიშვნელოვანი ეტაპია სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებების შესრულებისათვის ბრძოლაში. ზონის ინსტრუქტორი მოვალეა განუწყვეტლივ იმყოფებოდეს მემინდვრეობისა და სატრაქტორო ბრიგადებში, ხელს უწყობდეს შშრომელთა აქტივობის ზრდას, ფართოდ აჩაღებდეს მოწინავე გამოცდილების პროპაგანდას, სწორად არჩევდეს და გულდასმით ასწავლიდეს კადრებს, პრაქტიკულად ეხმარებოდეს სოფლის კომუნისტებს, კოლმეურნეებს საგაზაფხულო სამუშაოთა დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებაში.

პარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტები მოვალენი არიან ყოველდღიურად უხელმძღვანელონ ინსტრუქტორთა ჯგუფებს. სწორად იქცევიან პარტიის ის საოლქო და რაიონული კომიტეტები, რომლებიც ინსტრუქტორთა ჯგუფებისათვის მართავენ სემინარებს, აწყობენ გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. აუცილებელია განუწყვეტლივ ვმუშაობდეთ რაიკომის ინსტრუქტორთა კადრების განმტკიცებისათვის.

ინსტრუქტორთა ჯგუფები მტს-ების ზონებში — ეს დიდი ძალაა. მუშაობაში მათი წარმატება დამოკიდებულია სოფლის კომუნისტების მაღალ აქტივობაზე, მასებთან კავშირის განმტკიცებაზე. ისინი მხოლოდ მაშინ შეძლებენ მყარი და სერიოზული მიღწევების მოპოვებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში, როცა თავის საქმიანობაში მტკიცედ დაეყრდნობიან საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებს და უზრუნველყოფენ მათი ბრძოლისუნარიანობის გადაჭრით ამაღლებას.

რუსთავში დაინთო მეორე ბრძმედი

რუსთავი, 12 აპრილი. (საქდესი). დღეს სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ბრძმედების საამქროში დაინთო მეორე ბრძმედი. იგი მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. ბრძმედი აღჭურვილია თუჯის ყელის ჩატვირთვისა და გახსნის უალრესად თანამედროვე სისტემით. აქ გაუმჯობესებულია ნაზავის განაწილება, შემოღებულია მოწყობილობის ცენტრალიზებული პოზვა.

ქარბანაში ამას წინათ საექსპლატაციოდ გადაცემული საგლომერაციო ფაბრიკა და მეორე საკოქსო ბატარეა უზრუნველყოფენ ახალ ლუმელს ხარისხოვანი აგლომერატით და კოქსით. მარტენის საამქროს მიქსერის განყოფილება, რომელიც ამა წლის დამდეგს ჩადგა მწყობრში, საშუალებას მისცემს მებრძმედეებს სავსებით დაკმაყოფილონ ფოლადსადნობი საამქროს მოთხოვნილება თხევად თუჯზე.

ბრძმედი აიგო შვიდ თვეში. სამშენებლო ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა შეასრულეს. ამოღებულია 25 ათასამდე კუბური მეტრი მიწა, დაგებულია ორნახევარ ათასზე მეტი კუბური მეტრი ბეტონი და რკინაბეტონი, 4.157 ტონა ლითონკონსტრუქციები.

ახალი ბრძმედის ხმოვნელ თუჯს იძლევიან ქართველი მეტალურგები, რომლებმაც ეს საქმე შეისწავლეს უკრაინის მეტალურგიულ ქარხნებში.

ჩრდილო-დასავლეთის ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირი

ლენინგრადი, 11 აპრილი. (საკდესი). დღეს ტავრიდის სასახლეში გაიხსნა ჩრდილო-დასავლეთის ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მუშაკების თათბირი, რომელიც მოწვეულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით და რომელიც მიძღვნილია სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ამოცანებისადმი. თათბირში მონაწილეობას იღებს 1.700-ზე მეტი კაცი. მათ შორის არიან არხანგელსკის, ველიკიე ლუკის, ვოლოგდის, კალინინგრადის, ლენინგრადის, მურმანსკის, ნოვგოროდის, პსკოვის ოლქებისა და კომის ასსრ კოლმეურნეები, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაკები, პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო და დამზადების ორგანოების ხელმძღვანელები.

თათბირზე ჩამოვიდნენ უკრაინის, ბელორუსიის, ესტონეთის, ლატვიის, ლიტვისა და კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკების დელეგაციები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ნ. ს. ხრუშჩოვი**, რომელსაც თათბირის მონაწილენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

თათბირის წინ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი იყო კინგისეპის რაიონის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობასა და ვოლოსოვოს რაიონის საბჭოთა მეურნეობა „სელცოში“, ესაუბრა კოლმეურნეებსა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს.

თათბირი გახსნა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ა. მ. პუზანოვმა.

თათბირის საპატიო პრეზიდიუმში დიდი აღფრთოვანებით ირჩევენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებს.

ჩრდილო-დასავლეთის ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების გადიდების ღონისძიებათა შესახებ მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. პ. პ. ლობანოვმა.

ამხ. ლობანოვის მოხსენების გამო გაიმართა კამათი. (საკდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

კამათი საქართველოს სსრ 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო

დეპუტატ გ. დ. ჯავახიშვილის სიტყვა

(ქალაქ თბილისის ჟუთაისის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია მიმდინარეობს ისეთ ვითარებაში, როცა ფართოდ გაჩაღებულია მთელი საბჭოთა ხალხის ბრძოლა მეხუთე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ჩვენი ქვეყნის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობისათვის.

საბჭოთა ადამიანებს ახალი შემოქმედებითი ძალები შემატა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებებმა. ამ ისტორიულ გადაწყვეტილებებში გამოხატულება ჰპოვა კომუნისტური პარტიის ხრძნულმა პოლიტიკამ, რომლის მიზანია ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცება, ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცება.

ამ პოლიტიკის განხორციელებაში მთავარი, გადამწყვეტი რგოლია მთელი სოციალისტური ეკონომიკის აღმავლობისა და ჩვენი სამშობლოს ურღვევი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საფუძველთა საფუძვლის — მძიმე ინდუსტრიის შემდგომი განვითარება. მძიმე ინდუსტრიის განუხრელ განვითარებაზე დაყრდნობით კომუნისტური პარტია მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც მან დასახა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის.

ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის აღმავლობის საფუძველზე 1954 წელს მიღწეულია სერიოზული წარმატებანი საქართველოს სსრ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. ჩვენმა მრეწველობამ 1954 წელს გაცილებით მეტი პროდუქცია გამოუშია, ვიდრე 1953 წელს.

მნიშვნელოვნად გაიზარდა ლითონის წარმოება, გადიდდა ქვანახშირის, მარგანეცის და სხვ. ამოღება.

წინასწარი ცნობებით, ძირითადმა სამრეწველო სამინისტროებმა საერთო პროდუქციის გამოშვების პირველი კვარტალის გეგმა 105 პროცენტით და მეტით შეასრულეს.

ახორციელებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებს, ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა, მტს-ებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მნიშვნელოვნად გაადიდეს მარცვლეულის, ბოსტნეულის, კარტოფილის, ხორცის, რძის, ხილის, ყურძნის, ჩაისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება და სახელმწიფოსათვის ჩაბარება.

უკანასკნელ ხანს ჩვენს რესპუბლიკაში გაფართოვდა საბინაო-კომუნალური მეურნეობა, გაწეულია დიდი მუშაობა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქისა და სხვა ქალაქების შემდგომი კეთილმოწყობისათვის, გაფართოვდა სკოლების, საავადმყოფოების, საბავშვო დაწესებულებების, კლუბების, ბიბლიოთეკებისა და კინოდანადგარების ქსელი.

მთლიანად სამრეწველო წარმოების გეგმის შესრულებასთან ერთად ცალკეული სამინისტროები და ათობით საწარმოები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ და სახელმწიფო გეგმებს ვერ ასრულებენ. თუ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრომ, ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტრომ და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ, აგრეთვე საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭომ გადაჭარბებით შეასრულეს პროდუქციის გამოშვების გეგმა, ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტრომ საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმას დააკლო 5 პროცენტი. სამრეწველო წარმოების წლიურ გეგმას სისტემატურად ვერ ასრულებს საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო.

მთლიანად ჩვენმა მრეწველობამ 1954 წელს რამდენადმე გაუმჯობესა პროდუქციის ხარისხი. მაგრამ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს, სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს და განსაკუთრებით სარეწაო კოოპერაციისა და ადგილობრივი რაიონული მრეწველობის ზოგიერთი საწარმო კვლავ უშვებს არადამაკმაყოფილებელი ხარისხის პროდუქციას, ამასთან ისეთი ასორტიმენტით, რომელიც მოსახლეობის მოთხოვნილებას არ შეესაბამება, არ ახორციელებს ყველა საჭირო ღონისძიებას საქონლის ხარისხისა და გარეგნობის გასაუმჯობესებლად.

რესპუბლიკის მრეწველობაში უმდიდრესი რეზერვები გამოუყენებელი რჩება. შრომის ნაყოფიერების საერთო ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დროს მრეწველობის მთელი რიგი დარგები და ცალკეული საწარმოები ჩამორჩნენ გეგმის შესრულებაში უმნიშვნელოვანესი ეკონომიური მაჩვენებლების მიხედვით. ცნობილია, რომ სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და განვითარების მთავარი და გადამწყვეტი პირობაა შრომის ნაყოფიერების ყოველი ღონისძიებით გადიდება. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ამ საქმეში სერიოზული ჩამორჩენა გვაქვს. მართალია, საქართველოს სსრ სამრეწველო სამინისტროებში 1954 წელს ერთი მუშის გამომუშავება 1953 წელთან შედარებით 6 პროცენტით გაიზარდა, მაგრამ ექვსი სამრეწველო სამინისტროდან ერთი მუშის გამომუშავების გეგმა შეასრულეს მხოლოდ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტრომ და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ. ეს იმის შედეგია, რომ ჩვენი საწარმოების ხელმძღვანელები სრულიად არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების საკითხებზე. მათ ავიწყდებათ, რომ შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდების ინტერესები აკალებენ მნიშვნელოვნად გააძლიერონ წარმოების მექანიზაცია, სრულფასოვნად გამოიყენონ არსებული ტექნიკა, ყოველდღიურად იმუშაონ შრომის მოწინავე მეთოდების გავრცელებასა და ახალი ტექნიკის დანერგვაზე.

ახალი ტექნიკის დანერგვის დავალებები ჩვენში ყოველ წელიწადს მტკიცდება, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ამ დავალებათა განხორციელებისადმი ქმედითი კონტროლი ჩვენში არსებითად არ არის. დროა ბოლო მოვუღოთ ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის შეუფასებლობას, დროა გავიგოთ, რომ ახალი ტექნიკის დანერგვის დარგში სახელმწიფო დავალება ისეთივე სავალდებულო კანონია, როგორც საწარმოო პროგრამის შესრულება. ტექნიკური პროგრესისათვის შეუნელებელი ბრძოლა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის ყველა ხელმძღვანელის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

როგორც ცნობილია, თვითღირებულება ძირითადი მაჩვენებელია, რომელიც საწარმოთა მთელი მუშაობის ხარისხს ახასიათებს. ბევრი სამეურნეო ხელმძღვანელი კი ივიწყებს ამას.

თვითღირებულების შემცირების გეგმა შარშან არ შეუსრულებია ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროს. საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ ნაცვლად იმისა, რომ 8 პროცენტი შეემცირებინა თვითღირებულება, როგორც ამას გეგმა მოითხოვდა, დაუშვა მისი გადიდება.

მოყვანილი ცნობები მოწმობს, რომ სამრეწველო სამინისტროები საკმაოდ არ იბრძვიან საწარმოებში ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ენერგიის ეკონომიისათვის, შრომის ტექნიკური ნორმირებისა და ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, სამმართველო აპარატის ღირებულების გაიაფებისა და ზედნადები ხარჯების შემცირებისათვის.

მრეწველობისადმი ხელმძღვანელობის დარგში ჩვენი ყველაზე გადაუდებელი ამოცანაა მისი ცალკე დარგების ჩამორჩენის ლიკვიდაცია, სახელმწიფო გეგმის შესრულების უზრუნველყოფა ნაწარმის ყველა სახის მიხედვით და უკლებლივ ყველა საწარმოს მიერ, ასორტიმენტის შემდგომი გაფართოება და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება.

ჩვენი მრეწველობის წინაშე დასახული უდიდესი ამოცანების გადაწყვეტის საქმეში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახალი მშენებლობის საკითხებს. 1955 წლისათვის რესპუბლიკაში კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა დაწესებულია 468.196 ათასი მანეთის მოცულობით, აქედან ადგილობრივი ობიექტებისათვის 78.000 ათასი მანეთის მოცულობით. წელს უნდა ავაგოთ მთელი რიგი ახალი საწარმოები, ავაშენოთ მეტი საცხოვრებელი სახლები.

ვაშენოთ სწრაფად, კარგად და იაფად — ასეთ მოთხოვნას ვუყენებთ სამშენებლო ორგანიზაციებს, ეს მათი მუშაობის შეფასების ძირითადი კრიტერიუმია. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მნიშვნელოვანი ნაწილი დამაკმაყოფილებლად ვერ ართმევს თავს დაკისრებულ ამოცანებს.

განსაკუთრებით შეუწყნარებელია საბინაო მშენებლობის ჩამორჩენა.

სერიოზული ნაკლოვანებებია სკოლებისა და საავადმყოფოების მშენებლობის დარგში, სადაც დაწესებული გეგმები სისტემატურად ვერ სრულდება. ამაში ბრალი მიუძღვით რესპუბლიკის განათლების სამინისტროს, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციებს და ადგილობრივ საბჭოთა და პარტიულ ორგანოებს, რომლებიც ჯერ კიდევ საკმაოდ არ მუშაობენ ამ საკითხებზე, არ დაუწესებიათ ყოველდღიური კონტროლი სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობისადმი და საჭირო დახმარებას არ უწევენ მათ.

არ შეიძლება ჩვენი სამშენებლო ორგანიზაციების ცუდი მუშაობა ახსნას მხოლოდ იმით, რომ ისინი დამაკმაყოფილებლად ვერ მარაგდებიან საშენი მასალებით და კერძოდ ხე-ტყის მასალებით, როგორც ამას ზოგიერთი ხელმძღვანელი ცდილობს. მთავარი მიზეზია სწორედ სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ცუდი მუშაობა, რომლებიც საჭირო პირობებს არა ქმნიან მშენებლობებზე მუშების შესანარჩუნებლად.

ამასთან ერთად სამშენებლო ორგანიზაციები სრულად არ ახორციელებენ მთავრობის დადგენილებას ახალი ტექნიკის დანერგვისა და სამშენებლო მანქანების გამოყენების შესახებ. მექანიზაციის დონე ჯერ კიდევ დაბალია. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროზე მიუღებლობის, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში მისი უქონლობის გამო დიდი ხნით ფერხდება ხოლმე სამშენებლო სამუშაოთა გაშლა. შრომის დაბალი ნაყოფიერებისა და მთელი რიგი სხვა მიზეზების შედეგად ვერ სრულდება მშენებლობის ღირებულების შემცირების დავალება. სამშენებლო სამუშაოთა დაბალი ხარისხი, სახსრების არაეკონომიური ხარჯვა, ზედმეტობასთან სუსტი ბრძოლა, უყაირათობა, აგრეთვე საფინანსო დისციპლინის დარღვევები იმას იწვევს, რომ შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება მეტ წილ შემთხვევებში აღემატება ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულს.

ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მუშაობა. ამ სამინისტროს სამშენებლო ტრესტებმა 1954 სამეურნეო წელი დაამთავრეს არადამაკმაყოფილებელი საწარმოო და ფინანსური მაჩვენებლებით. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა მათ მხოლოდ 93,3 პროცენტით შეასრულეს. სამინისტროს დამხმარე საწარმოებმა საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულეს 86 პროცენტით. სამშენებლო ტრესტებმა ვერ უზრუნველყვეს შრომის სწორი ორგანიზაცია მშენებლობებზე და მშენებლობის ღირებულების შემცირება, რის შედეგადაც სამინისტრომ სამეურნეო წელი მნიშვნელოვანი ზარალით დაამთავრა.

აქ სრულიად არადამაკმაყოფილებლად იყენებდნენ სამშენებლო მექანიზმებს. ექსკავატორების გამომუშავების ნორმა შესრულებულია 80 პროცენტით, ამწეებისა — 78,6 პროცენტით, ბეტონმრევებისა — 34,9 პროცენტით, ხსნარმრევებისა — 32,4 პროცენტით, ავტოპარკის გამოყენების კოეფიციენტმა შეადგინა 0,38 გეგმით გათვალისწინებული 0,5-ის ნაცვლად, ავტომანქანების მნიშვნელოვანი რაოდენობა უწესივრო მდგომარეობაში იყო და ცდებოდა.

უნდა ითქვას, რომ ტრესტების ხელმძღვანელები ჯეროვან ბრძოლას არ ეწეოდნენ მატერიალური და ფულადი რესურსების მობილიზაციისათვის, დებიტორული დავალიანების შემცირებისა და მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული ნამთების ლიკვიდაციისათვის. სამინისტროს სამშენებლო ტრესტებსა და საწარმოებში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია საანგარიშგებო დისციპლინის მდგომარეობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სამეურნეო საქმიანობის შედეგები და მინისტრის ამხ. ჯაბუას და მისი მოადგილეების ყურადღება მიაპყრო საფინანსო დარღვევებსა და უყაირათობას მათს გამგებლობაში მყოფ ორგანიზაციებში, დასახა სათანადო ღონისძიებანი მათი მუშაობის სერიოზულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის.

გასულ წელს არადამაკმაყოფილებლად მუშაობდა აგრეთვე სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს სამშენებლო ტრესტი, რომელმაც ვერ შეასრულა გეგმა და დაუშვა ზეგეგმითი ზარალი.

დაგროვების გეგმის შეუსრულებლობის, მშენებლობის გაძვირებისა და ზარალის მიღების შედეგად სამშენებლო ორგანიზაციებს სისტემატურად აკლდებათ საბრუნავი საშუალებები, რომელთა შესავსებად რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ეძლევათ ათეული მილიონობით მანეთი. დიდხანია დროა ბოლო მოეღოს ასეთ უყაირათობას. სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა ძირეულად უნდა გარდაქმნან თავიანთი მუშაობა, ყველა პირობებში უზრუნველყონ გამოყოფილი სახსრების სრულად ათვისება, გეგმით გათვალისწინებული ობიექტების დროზე დამთავრება.

ამხანაგო დეპუტატებო! ვასრულებთ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის და შემდგომი პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ჩვენ მივაღწიეთ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ახალ აღმავლობას. ბევრმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ წარმატებით დაამთავრა სამეურნეო წელი. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები 1954 წელს უფრო მოკლე აგროტექნიკურ ვადებში და უფრო მაღალხარისხოვნად ჩატარდა, ვიდრე 1953 წელს. სახელმწიფოს ჩაბარდა გაცილებით მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ვიდრე 1953 წელს.

წლევანდელ გაზაფხულს სოფლის მეურნეობის მშრომელები ხვდებიან უდიდესი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში, რომელიც გამოწვეულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებით. მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გაფართოების პროგრამა, რომელიც პარტიამ დასახა, უდიდეს პასუხისმგებლობას გვაკისრებს და მოითხოვს თვითეული მუშაკის მთელი ძალების დაძაბვას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ ამას წინათ მიღებულმა დადგენილებამ „სოფლის მეურნეობის დაგეგმვის პრაქტიკის შეცვლის შესახებ“ გაძლიერა კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა შემოქმედებითი ინიციატივა. დაგეგმვის ახალი წესი საშუალებას აძლევს ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას გააუმჯობესონ მათთვის მიმაგრებული მიწის გამოყენება, მკვეთრად გაადიდონ მემინდვრეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. მთავარი ახლა ის არის, რომ თვითეულმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ სწორად დაგეგმოს თავისი წარმოება და უკვე მიმდინარე წელს ყოველ ას ჰექტარ მიწის სავარგულებზე მიიღოს მეტი პროდუქცია. ამჟამად საქართველოს კოლმეურნეობებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებისა და „სოფლის მეურნეობის დაგეგმვის პრაქტიკის შეცვლის შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე მუშავდება ღონისძიებანი 1955-1960 წლებში პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მტს-ების ხელმძღვანელები სათავეში უნდა ჩაუდგნენ ამ სამუშაოს ადგილებზე, სწორი გზით წარმართონ იგი და მიაღწიონ სოფლის მეურნეობის, უწინარეს ყოვლისა, მეცხოველეობის დარგში ყველა არსებული ნაკლის აღმოფხვრას.

მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობა და მისი პროდუქტიულობის გადიდება ერთ-ერთი მთავარი და გადაუდებელი ამოცანაა იმ ამოცანებიდან, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დაუსახეს სოფლის მეურნეობის მუშაკებს. იბრძვიან რა ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის, ნერგავენ რა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევებს, საქართველოს ბევრი კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და მთელი რაიონები აღწევენ ძროხის წველადობის, გოჭის ნამატის, გასასუქებელი ღორის წონაში მატების, ფრინველის კვერცხმდებლობის შემდგომ გადიდებას. მეცხოველეობის განვითარებაში მოწინავე მეურნეობათა წარმატებებს ხელს უწყობს კარგი საკვები ბაზის შექმნა, პირუტყვის სწორი კვება და შენახვა, ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება, შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის გაძლიერება, შრომის კარგი ორგანიზაცია.

თუ ანალიზს გავუკეთებთ მეცხოველეობის მაჩვენებლებს ხუთ თვეში 1954 წლის 1 ოქტომბრიდან 1955 წლის 1 მარტამდე და შევადარებთ მათ წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლებთან, ნათელი გახდება, რომ ბევრმა რაიონმა გააკეთა დასკვნები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან და დადებით შედეგებს მიაღწია. მაგალითად, გორის, გურჯაანის, გარეუბნის, თეთრი წყაროს, გეგეჭკორის, მახარაძის, ბოგდანოვკის, წითელწყაროს რაიონებმა ამ პერიოდში წველადობა ერთნახევარჯერ-ორჯერ გაადიდეს. ამავე დროს ზოგიერთი რაიონის ხელმძღვანელები ჯერ მხოლოდ ლაპარაკობენ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაზე, მტკიცე საკვები ბაზის შექმნაზე და ა. შ., ფაქტიურად კი ბევრს არაფერს აკეთებენ წარმოების გასადიდებლად. მაგალითად, ზორჯომის რაიონში 1954 წლის 1 ოქტომბრიდან 1955 წლის 1 მარტამდე წველადობამ 965,3 ცენტნერი შეადგინა წინა წლის შესაბამისი პერიოდის 1.382,9 ცენტნერის ნაცვლად, ხოლო ერთ საფურაჟე ძროხაზე — 0,5 ცენტნერი, ე. ი. 50 ლიტრი. ასევე შემცირდა წველადობა ახალქალაქის, ახმეტის, ხობის, ლენტეხის რაიონებში, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონში.

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის გეგმა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შესრულებულია ხორცის მხრივ 96,4 პროცენტით, ამასთან დამზადებულია 6.461 ცენტნერით მეტი ხორცი, ვიდრე გასული წლის პირველ კვარტალში, რძის მხრივ — 125,6 პროცენტით, დამზადებულია 41.611 ცენტნერით მეტი, კვერცხის დამზადებისა და შესყიდვის მხრივ — 230,7 პროცენტით, დამზადებულია 6.579 ათასი ცალით მეტი. უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკას შეეძლო მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეესრულებინა ეს გეგმა, ცუდად რომ არ მოეწყოთ ხორცის დამზადება აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, ახალქალაქის, გარდაბნის, დმანისის, წალკის, ზუგდიდის, ლაგოდეხის, ზესტაფონის, ონის, ცხაკაიას და სხვა რაიონებში, რომლებმაც დადგენილი დავალება ვერ შეასრულეს.

რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დიდი ხვედრითი წონა აქვთ საბჭოთა მეურნეობებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა აღნიშნა სერიოზული ნაკლოვანებანი სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს მუშაობაში. ეს ნაკლოვანებანი საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს მუშაობასაც ახასიათებს. ამ სამინისტროს მუშაობაში, მიღწეულ წარმატებებთან ერთად, არსებითი ხარვეზებიც არის.

სამინისტროს სისტემაში ცოტა როდია საბჭოთა მეურნეობა, რომელიც უზრუნველყოფს რენტაბელურ მუშაობას შრომის სწორი ორგანიზაციის, მატერიალური და ფულადი რესურსების მომჭირნედ და რაციონალურად გამოყენების, აგრეთვე არსებული რეზერვების უნარიანად გამოყენების მეოხებით. ამავე დროს, სამინისტროს სისტემაში არიან ჩამორჩენილი საბჭოთა მეურნეობებიც, რომლებიც ვერ ასრულებენ საწარმოო გეგმებს, ცუდად ახორციელებენ მომჭირნეობის რეჟიმს სახსრების ხარჯვაში და რომლებსაც გადახარჯვა და ზარალი აქვთ.

სამინისტრომ გადაჭრით უნდა გააუმჯობესოს საბჭოთა მეურნეობებისადმი ხელმძღვანელობა, დროულად გამოავლინოს ნაკლოვანებანი მათს მუშაობაში, დანერგოს მოწინავე მეურნეობათა გამოცდილება ყველა საბჭოთა მეურნეობის მუშაობის პრაქტიკაში და, წარმოების არსებული რეზერვების ფართოდ გამოყენების გზით, ყველა საბჭოთა მეურნეობა მაღალსაქონლური და რენტაბელური გახადოს.

ჩვენი რესპუბლიკის საბჭოთა და პარტიული ორგანოების, ყველა კოლმეურნის, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკების გადაუდებელი ამოცანაა დაუყოვნებლივ აღმოფხვრან ეს ნაკლოვანებანი და მიაღწიონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრ აღმავლობას.

საკოლმეურნეო მინდვრებზე და საბჭოთა მეურნეობებში გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები გაჩაღდა. ამ სამუშაოთა ხარისხზე ბევრად არის დამოკიდებული მომდინარე წლის მოსავალი. ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ორგანოების, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ამოცანა ამჟამად ის არის, რომ შემჭიდროებულ ვადებში და მაღალი აგროტექნიკური დონით ჩაატარონ საგაზაფხულო თესვა, უზრუნველყონ ნათესების სწორი მოვლა.

წინასწარი შედეგები მოწმობენ, რომ ბევრმა კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ და მტს-მა სათანადო დასკვნები გააკეთა გასული წლის გამოცდილებიდან, ფართოდ გაჩაღა საგაზაფხულო თესვა და სერიოზულ ღონისძიებებს ახორციელებს მაღალი მოსავლის მისაღებად.

ამხანაგო დეპუტატებო! დიდი ღონისძიებანი, რომლებიც ხორციელდება მოხმარების საგნების მწარმოებელი მრეწველობის შემდგომი განვითარებისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობის დარგში, მოითხოვენ საქონლებრუნვის გადაჭრით გაუმჯობესებას და ყოველმხრივ გაშლას. ამისათვის საჭიროა აღმოვფხვრათ სერიოზული ნაკლოვანებანი ჩვენი სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში. ეს ნაკლოვანებანი უწინარეს ყოვლისა მდგომარეობენ იმაში, რომ საქონლებრუნვის გეგმა არადამაკმაყოფილებლად სრულდება.

დიდი ამოცანებია დასახული საბმომხმარებლო კოოპერაციის წინაშე სოფლის მოსახლეობის, კოლმეურნეობების, მტს-ების, სამომთაბარეო საძოვრებზე მწყემსების მომსახურების საქმეში. ცეკავშირმა უნდა მიიღოს ყველა ღონისძიება იმისათვის, რომ პირნათლად შეასრულოს ეს ამოცანები.

იმის შედეგად, რომ ჩვენი სავაჭრო ორგანიზაციების ზოგიერთი ხელმძღვანელი სიფხიზლეს ვერ იჩენს, რომ მატერიალურად პასუხისმგებელი პირები მუშაობას სუსტად უწევენ კონტროლს და რომ ცუდად არის დაყენებული აგრეთვე კადრების შერჩევა რესპუბლიკაში, ჯერ კიდევ აქვს ადგილი სოციალისტური საკუთრების დატაცების ფაქტებს.

ჩვენი სავაჭრო ორგანიზაციები მოვალენი არიან ისე გარდაქმნან თავიანთი მუშაობა, რომ უზრუნველყონ საქონლებრუნვის დაწესებული გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება, მოაწყონ მომხმარებელთა კულტურული მომსახურება, მიიღწიონ სოციალისტური საკუთრების მტკიცედ დაცვას.

ამხანაგო დეპუტატებო! სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების ამოცანები, რომლებიც დასახულია პარტიისა და მთავრობის მიერ, მოითხოვენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საქმისადმი ხელმძღვანელობის სერიოზულ გაუმჯობესებას, როგორც რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების მხრივ, ისე ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების მხრივ.

ამ ბოლო დროს, გასრულებთ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებებს, ჩვენ ერთგვარი მუშაობა გავწიეთ სამინისტროთა და უწყებათა ორგანიზაციული სტრუქტურის გასაუმჯობესებლად, შტატების შესამცირებლად.

ამოტანა ის არის, რომ მტკიცედ და ყოველდღიურად ვაუმჯობესებდეთ ხელმძღვანელობის მეთოდებს, ვაღწევდეთ სამეურნეო და საფინანსო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას. თვითეული სამინისტროს აპარატის მუშაობა ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ოპერატიულად ეწყვეტდეთ ადგილებიდან წამოყენებულ საკითხებს, შეურიგებელ ბრძოლას ვეწეოდეთ მუშაობაში კანცელარიულ-ბიუროკრატიული სტილის გამოვლინებებთან, ვაძლიერებდეთ თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობას მინდობილი საქმისათვის. ამ სესიაზე გამოსული დეპუტატები სამართლიანად აკრიტიკებდნენ ჩვენს სამინისტროებსა და უწყებებს. მინისტრთა საბჭო გაითვალისწინებს ამ კრიტიკულ შენიშვნებს, გააკეთებს მათგან საჭირო დასკვნებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოავლენს ნაკლოვანებებს თავის მუშაობაში, გარდაქმნის მუშაობას და მიიღებს ყველა ღონისძიებას იმისათვის, რომ კიდევ უფრო მაღალ დონეზე აიყვანოს რესპუბლიკის ეკონომიკა და კულტურა, კიდევ უკეთ გამოიყენოს სოციალისტური მეურნეობის ყველა შესაძლებლობა და ამით ხელი შეუწყოს მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს მშრომელები, რომლებიც მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევიან, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მთლიანად იწონებენ და აქტიურად უჭერენ მხარს საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას.

საბჭოთა მთავრობა მტკიცედ და თანმიმდევრულად იცავს მშვიდობის საქმეს, გადაჭრით ამხილებს ახალი ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა აგრესიულ გეგმებს.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდების პასუხად ყველა ქვეყნის ხალხები აძლიერებენ თავიანთ მოთხოვნებს — აიკრძალოს ატომური იარაღი. ყველა ქვეყანაში იზრდება და ფართოვდება მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მომართვაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანია.

მშვიდობისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში დგას საბჭოთა ხალხი. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მომართვაზე ხელმოწერის შეგროვებისათვის სსრ კავშირში დაწყებულმა კამპანიამ საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის ახალი მძლავრი აღმავლობა გამოიწვია. საბჭოთა საქართველოს მშრომელები ყველა საბჭოთა ადამიანთან, მთელი მსოფლიოს კეთილი ნების მილიონობით ადამიანებთან ერთად აქტიურად იბრძვიან მშვიდობისათვის, გამოდიან ატომური ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა ხრიკების წინააღმდეგ.

ერთსულოვნად აწერენ რა ხელს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მომართვას, საბჭოთა საქართველოს მშრომელები თავიანთ ხელმოწერას განამტკიცებენ ახალი შრომითი წარმატებებით ჩვენი დიადი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო მჭიდროდ დარაზმულნი საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მტკიცე რწმენით მიდიან წინ კაცობრიობის ნათელი მომავლისაკენ — კომუნიზმის მშენებლობის გზით. (ტაში).

იხილეთ შემოკლებით.

სოციალისტური შეჯიბრება სიმინდის უხვი მოსავლისათვის

თესვის პირველ დღეებში

გაზაფხული ძალაში შევიდა. ვრცელ საკოლმეურნეო მინდვრებზე მხვნელ-მთესველებს შემოქმედებითი შრომა გაუჩაღებიათ. თელავის მტს-ის მექანიზატორები კოლმეურნეებთან თანამეგობრობით მინდვრის სამუშაოებს შეუდგნენ.

მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში 2.000 ჰექტარზე მეტი მზრალი აქვთ სიმინდის დასათესად. ახლა ამზადებენ ამ ნიადაგს. ნახევარზე მეტი პროგრესული წესით — კვადრატულ-ბუდობრივად დათესილა. ამ სამუშაოს შეუდგნენ წინანდლის, შალაურის, ვარდისუბნის კოლმეურნეობებში. სიმინდის პირველი ჰექტარები უკვე დათესა კვადრატულ-ბუდობრივად. მტს-ის მექანიზატორებმა გადაწყვიტეს ამ წესით სიმინდი დათესონ ცხრაას ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 650 ჰექტარისა.

მაგრამ მექანიზატორები და კოლმეურნეები საყვედურს გამოთქვამენ იმის გამო, რომ 8 სათესი მანქანიდან მხოლოდ ოთხის მოწყობილობა აქვთ, ამიტომ მუშაობაში ხელი ეშლებათ. მტს-მა ვადამდე დაამთავრა 171 ჰექტარზე მზესუმზირას თესვა, აქედან კვადრატულ-ბუდობრივად დათესილია 110 ჰექტარი. შესრულებულია საკვები ძირხვენების თესვის დავალება. მზესუმზირას ნათეს ნაკვეთებზე გამოჩნდა მწვანე კვადრატები.

შალაურის კოლმეურნეობაში სიმინდის თესვა პროგრესული წესით დაიწყეს მთავარი გზის გაყოლებით მდებარე ოთხმოცჰექტარიან ფართობში. აქ მუშაობს თელავის მტს-ის მოწინავე სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც ცნობილი მექანიზატორი დ. გიგოლაშვილი ხელმძღვანელობს. თესვის აგროწესების დაცვისათვის ენერგიულად იბრძვის აგრონომი ს. ლობჟანიძე. ამ კოლმეურნეობაში შარშან კვადრატულ-ბუდობრივად დათესილი ჰქონდათ 68 ჰექტარი სიმინდი და თვითეულ ჰექტარზე უზრუნველყვეს 36 ცენტნერი სიმინდის მიღება. პროგრესული წესის უპირატესობაში ნათლად დარწმუნდნენ აქაური კოლმეურნეები. თუ წინათ ერთი ჰექტარის დამუშავებას 16-18 კაცი სჭირდებოდა. ახლა მექანიზაციის დანერგვის შედეგად საჭიროა მხოლოდ 6-7 კაცი.

სიმინდის თესვა გაჩაღდა ვარდისუბნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ დაწინაურდნენ მექანიზატორები დ. მამუკელაშვილი, ი. კირიაკოვი. სამუშაოთა ხარისხს კარგად იცავს აგრონომი მ. მუნჯიშვილი. თესვის ფრონტი დღითიდღე ფართოვდება კურდღელაურის კოლმეურნეობის მინდვრებზე. ეს კარგ შედეგს იძლევა და ხელს უწყობს კვადრატულ-ბუდობრივად თესვის წარმატების საქმეს.

თესვის მიმდინარეობაზე ყოველდღიურად ახალი ცნობები მოდის საკოლმეურნეო მინდვრებიდან. ამუშავდა თელავის მტს-ის სადისპეტჩერო სამსახური, რომელსაც აგრონომი ნ. ჯავახიშვილი ხელმძღვანელობს.

თესვა და სხვა სამუშაოები ფართოდ არის გაჩაღებული.

ნ. ჯანჯღავა,

„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

ვ ი ლ ე ბ გ ა ა მ ო წ ვ ე ვ ა ს

სიმინდის მაღალი მოსავალი 1947 წლიდან მოპავს. ამ ხნის მანძილზე დიდი გამოცდილება შეეძინე, მაშინ თვითეულ ჰექტარზე 70 ცენტნერი სიმინდი მივიღე. შემდეგ წლებში უფრო ეიუმჯობესებდი მუშაობას. 1950 წელს მინდვრეობის რეგოლს 19 ჰექტარი ფართობი ეკავა. 8 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 80 ცენტნერი სიმინდი მოვიყვანეთ, დანარჩენზე — საშუალოდ 50 ცენტნერზე მეტი.

ამ წარმატებებს ამით ვიღწევ, რომ კარგად ვიცნობ სიმინდის კულტურას, შესწავლილ მაქვს მისი დამუშავების აგროტექნიკა. უხვი მოსავლისათვის ზრუნვას შემოდგომიდანვე ვიჩაღებთ. ტეგოლის საყანე ნიადაგი მშრალია და ეროზიული, ამიტომ საჭიროა სინესტის დაგროვება. ამას კარგად ვითვალისწინებთ და ნაადგილ 20-25 სანტიმეტრ სიღრმეზე ჯერ კიდევ ივნვარში ვხნავთ. პირველი ხვნის დაწყებამდე სათესი ნაკვეთის ყოველ ჰექტარზე დაახლოებით 12-15 ტონა ნაკელი შეგვაქვს. შემდეგ ხელახლა გადავხნავთ და ვფარცხავთ. ამასთან ვაწყობთ თესვისწინა კულტივაციას. ეთესავთ „ოზაშის ყვითელი“ ჯიშის სიმინდს მწკრივებად და კვადრატულ-ბუდობრივი წესით.

ამას წინათ გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე წავიკითხე, რომ რგოლს, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, შეჯიბრებაში იწვევს ციხაკაის რაიონის სოფელ თეკლათის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური სოციალისტური შრომის გმირი ბ. გვინია. სიხარულით ვიღებთ ამ გამოწვევას, ვებმებით სოციალისტურ შეჯიბრებაში და ჩვენი მხრივ ვკისრულობთ სიმინდი დავთესოთ 20 ჰექტარზე. აქედან ნახევარზე მეტს დავთესავთ კვადრატულ-ბუდობრივი წესით, რომლის თვითეულ ჰექტარზე მივიღებთ 75 ცენტნერ მარცვლეულს, ხოლო მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე უზრუნველყოფთ 65 ცენტნერი სიმინდის მოყვანას. პირადად გადაწყვეტილი მაქვს 2 ჰექტარზე 210 ცენტნერი მოსავალი მივიღო. რგოლი მაღე დაამთავრებს სიმინდის თესვას.

ს. ბ ა ხ ო ლ ი ა,

გეგეჭკორის რაიონის სოფელ ვედიდკარის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

მაღალნაყოფიერი შრომის ოსტატები მოგვითხრობენ

შემჭიდროებული გრაფიკით

მეთხუთმეტე წელია ორთქლმავლის მემანქანე ვარ. ამ ხნის განმავლობაში მუშაობის დიდი გამოცდილება მივიღე. მატარებლები დამყავს თბილისი-სანაინის უბანზე. ამ უბანზე მატარებლის წაყვანა არც ისე იოლია.

უკანასკნელ წლებში ამიერკავკასიის რკინიგზაზე ხუთასოვანთა მოძრაობა შენელდა. ეს ნაწილობრივ იმით იყო გამოწვეული, რომ ორთქლმავლებს მაზუთის ნაცვლად ქვანახშირით ვახურებდით, რაც იწვევდა ნაცრისაგან ქურის გასაწმენდად დეპოებში ლოკომოტივების გაჩერების საჭიროებას. კერძოდ, ჩვენს უბანზე სანაინამდე ჯერ გზაში ვასუფთავებდით ქურას, შემდეგ კი იქ ჩასვლისას 4-5 საათს დეპოში ვაყენებდით ორთქლმავალს. ამ ხნის განმავლობაში მატარებლის ბრიგადა ისვენებდა და შემდეგ უკან ბრუნდებოდა.



ა. ლომსაძე.

• • •

თბილისი-სანაინის უბანზე ორთქლმავლების არარაციონალურად გამოყენების გამო სადღეღამისო გარბენა დაბალი იყო. მოსაბრუნებელი და ძირითად დეპოებში ორთქლმავლები დიდხანს იდგნენ და ამიტომ ორთქლმავლების ბრუნვის სრული ციკლი მხოლოდ 28-29 საათს გრძელდებოდა, საშუალო სადღეღამისო გარბენა კი 200 კილომეტრს არ აღემატებოდა. ყოველივე ამას მოსდევდა ლოკომოტივების საექსპლოატაციო პარკის ზედმეტობა, მეტი საორთქლმავლო ბრიგადის შენახვა, უნაყოფო ხარჯები, მაგრამ თუ ჩვენ 50 პროცენტით მაინც გავადიდებდით მანქანების საშუალო სადღეღამისო გარბენას, ეს ხარჯები საგრძნობლად შემცირდებოდა.

მას შემდეგ, რაც კვლავ მაზუთის ხმარება დავიწყეთ, ისევ შესაძლებელი გახდა შემჭიდროებული გრაფიკით მატარებლის ტარება, ხუთასოვანთა მოძრაობის უფრო ფართოდ გაჩაღება სანაინ-თბილისის უბანზე. გზის ხელმძღვანელობას მივმართე წინადადებით თბილისი-სანაინის უბანზე შემოეღოთ ორთქლმავლების ბრუნვის შემჭიდროებული გრაფიკი. ჩემი ვარაუდით ამ ღონისძიების განხორციელება შეამცირებდა ლოკომოტივების პარკს და გაადიდებდა მათ სადღეღამისო ბრუნვას.

ახალი წლიდან ორთქლმავლები ნავთლუღი-სანაინის უბანზე შემჭიდროებული გრაფიკით დადიან. ახლა მატარებლის ბრიგადას აღარ სჭირდება სანაინში დასვენება, რაზეც 4-5 საათი იკარგებოდა. ბრიგადა მაშინვე ბრუნდება უკან და თბილისში შემოუსვლელად ნავთლუღის მოსაბრუნებელი პუნქტიდანვე კვლავ მიდის მორიგ რეისში.

ნავთლუღსა და სანაინს შუა ახალი გრაფიკის შემოღებამ აუცილებელი გახადა მატარებელთა მიმოსვლის დრო შეცვლილიყო ლენინაკან-სანაინის უბანზეც, რადგან ამ ორ უბანზე მატარებლების მოძრაობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. ერთი სიტყვით, ლენინაკან-სანაინის უბანზე გრაფიკი ისეა შემუშავებული, რომ ნავთლუღიდან სანაინში ჩასულ მატარებლის ბრიგადას იქ ხვდება ლენინაკანიდან ჩამოსული ბრიგადა. ისინი მაშინვე ერთმანეთს უცვლიან მატარებლებს და დაუყოვნებლივ ბრუნდებიან უკან.

შემჭიდროებული გრაფიკის განხორციელების შედეგად ერთ თვეზე ნაკლები ხნის განმავლობაში თბილისის დეპოს ლოკომოტივთა პარკი შემცირდა ორი ორთქლმავლით, ხოლო ლენინაკანისა — ერთი ლოკომოტივით, ე. ი. თბილისის დეპომ არსებული ლოკომოტივებით გადაზიდა იმდენი სახელმწიფო ტვირთი, რამდენისთვისაც ძველი წესით მუშაობისას საჭიროდ იქნებოდა დამატებით ორი ორთქლმავალი. ამასთან შემჭიდროებული გრაფიკით მუშაობისას საშუალო სადღეღამისო გარბენა თბილისის დეპოში გაიზარდა 17 კილომეტრით, ლენინაკანისაში კი 28 კილომეტრით.

თვალსაჩინო შედეგები მოიპოვა ორთქლმავალ „ე7012“-ის ჩვენმა ბრიგადამ, რომელშიც შედიან ახალგაზრდა მემანქანე ა. ნუნუიანცი, მემანქანის თანაშემწეები კომუნისტი შ. სესიკელაშვილი და ნ. თედიაშვილი. წელს იანვრიდან ოც მარტამდე მე და ჩემმა თანაშემწემ ნ. თედიაშვილმა 25 მძიმე წონის მატარებელი გადავიყვანეთ და 2.800 ტონამდე ტვირთი გადავიტანეთ ნორმის გადამეტებით. გარდა ამისა, იანვარ-თებერვალში გავწიეთ თითქმის 35 ტონა მაზუთის ეკონომია და ორთქლმავლის შეკეთებისათვის განკუთვნილი თანხებიდან დავზოგეთ 1.193 მანეთი.

ასეთია პირველი შედეგები, რომლებიც მოგვცა ამიერკავკასიის რკინიგზის ერთ უბანზე — სანაინ-ნავთლუღის გადასარბენზე შემჭიდროებული გრაფიკის შემოღებამ.

ა. ლ ო მ ს ა ძ ე,

თბილისის საორთქლმავლო დეპოს უფროსი მემანქანე.

ხ ე ლ თ ა თ მ ა ნ ე ბ ი

ეს იყო ზეუულებრივი ხელთათმანები, ბრეზენტისაგან გამოჭრილი და მკვიდრად შეკერილი. ასეთებს ფოლადის დნონისა და ბეტონის დამუშავების დროს ხმარობენ მუშები. შეხედავთ ამ ხელთათმანებს და გაგიკვირდებათ, როგორ შეიძლება კაცმა მათზე სპეციალიური ოპერაციებით ჯიბე გაისქელოს. საქმეც სწორედ ეს არის. ქალაქ რუსთავში მოკალათებული საქმოსნები არც ისე მიამიტნი აღმოჩნდნენ, რომ ერთბაშად „მსხვილ რამეს“ წაპოტინებოდნენ და ამით ვისმე ყურადღება მიექციათ.

ბრეზენტის ხელთათმანები კი ამა ვის ეცემა თვალში?

და აი, ორტელ „რუსთავის“ სამკერვალო საამქროს გამგე ბ. მექვაბიშვილი ბეტონის ცენტრალური კომბინატის მთავარ ბუხჰალტერს ა. პუპინინს ესტუმრა და გულისხმიერი საიდუმლოდ გაუზიარა.

პუპინინმა „გულუბრყვილოდ“ მოიფხანა ცხვირი.

— მერე? მუშებს ხომ გაუჭირდებათ უხელთათმანოდ მუშაობა?

მექვაბიშვილმა გადაიხარხარა.

— კარგი, თუ ძმა ხარ, ისე ლაპარაკობ, თითქოს გამოუცდელი ბავშვი იყო! და ყურში ჩაჩურჩულა:

— კაცი ხარ, ფული ვის მოსჭარბებია!..

საქმე „თავისთავად გაიჩარხა“. ბ. მექვაბიშვილმა თვითონ შეადგინა არარსებული ხელთათმანების მიღება-ჩაბარების „აქტი“, სადაც აღნიშნა, რომ თითქოს ბეტონის ცენტრალური კომბინატის წარმომადგენელ ი. ფეტისოვზე გაცემულ იქნა 33.950 მანეთის ღირებულების 7 ათასი წყვილი ხელთათმანი, ორტელის უფროსი ბუხჰალტერი ი. მელუხა და საწყობის გამგე გ. დოგრამეილი ძმაკაცს მხარში ამოუდგნენ და ქურდი კატებივით თვალებმანდულებმა მობარული ფულზე ხელი მოიფშვნეს. ბეტონის კომბინატის მთავარმა ბუხჰალტერმა ა. პუპინინმა და ბუხჰალტერმა ფ. ეიდელმანმა კი სახმარიდან მიღებული განაღდებული ანგარიში და საგადასახადო დაგალება მოსპეს და არარსებული ხელთათმანები სხვა ორგანიზაციას დაუწერეს. კომბინატიამ „მშვიდობიანად“ ჩაიარა.

კვაქებმა რუსთავიდან თავისუფლად ამოიტუტუნეს და ახალი საქმის „მოკვარახტინების“ შეუდგნენ. კვლავ ნაცად ხერხს მიმართეს, მიღება-ჩაბარების აქტი დაწერეს, ბეტონის ცენტრალური კომბინატის წარმომადგენლად ახლა მ. ავეტისოვი გამოიყვანეს, მასზე 7.700 წყვილი ხელთათმანი „გასცეს“, როცა ავეტისო

ვ. ი. ლენინის ნაწარმოები „სახელმწიფო და რევოლუცია“ არაბულ ენაზე

დამასკო, 11 აპრილი. (საკდესი). სირიის საზოგადოებრიობა ინტერესით შეხვდა ვ. ი. ლენინის ნაწარმოების „სახელმწიფო და რევოლუციის“ არაბულ ენაზე გამოსვლას. თარგმანი შეასრულა დოქტორმა ფუად აიუბმა.

ქალაქ სტალინგრადის დელეგაცია ინგლისში

ლონდონი, 11 აპრილი. (საკდესი). როგორც პრეს ასოშიეიშნის საგენტო იუწყება, ქალაქ სტალინგრადის დელეგაციამ, რომელიც ამას წინათ კოვენტრში იყო, 11 აპრილს ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მიწვევით კენტერბერი ინახულა. დელეგატებმა ტაძრის წინამძღვრის დოქტორ ჰიულეტ ჯონსონის თანხლებით დაათვალიერეს კენტერბერის ტაძარი. შემდეგ ისინი სტუმრად იყვნენ ჰიულეტ ჯონსონთან. სტალინგრადელ საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე შაპუროვი ტაძარში ღვთის მსახურებას დაესწრო.

ლონდონში შეასრულეს შოსტაკოვიჩის მე-10 სიმფონია

ლონდონი, 11 აპრილი. (საკდესი). 10 აპრილს ლონდონის საკონცერტო დარბაზ „როიალ ფესტივალ ჰოლში“ პირველად ინგლისში შესრულდა საბჭოთა კომპოზიტორ შოსტაკოვიჩის მე-10 სიმფონია. სიმფონია შეასრულა ლონდონის ფილარმონიის ორკესტრმა ადრიან ბოულტის ხელმძღვანელობით.

კონცერტს დაესწრო სსრ კავშირის ელჩი ინგლისში ი. ა. მალიკი.

ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტიის კონფერენცია

ლონდონი, 11 აპრილი. (საკდესი). პრეს ასოშიეიშნის საგენტო იუწყება, რომ დამოუკიდებელი მუშათა პარტიის კონფერენციაზე ჰაროგეტში 10 აპრილს მიიღეს რეზოლუცია, რომელიც დასავლეთის სახელმწიფოებს გმობს იმისათვის, რომ ისინი ხელს უწყობენ დასავლეთ გერმანიის შეიარაღებას.

შეეხო რა შორეულ აღმოსავლეთში შექმნილ მდგომარეობას, კონფერენციამ ხაზგასმით აღნიშნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ ამერიკის სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალების პირდაპირი პროვოკაციების საშიში ხასიათი.

რეზოლუციაში გამოთქმულია მოთხოვნა კენიიდან, კვიპროსიდან და მალაიიდან ინგლისის ჯარების გაყვანისა და ყველა იმ კოლონიური ტერიტორიისათვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ მინიჭების შესახებ, რომლებსაც ინგლისი მართავს ან მისი სამანდატონი არიან.

ხაზოვიამას განცხადება

შანხაი, 11 აპრილი. (საკდესი). როგორც კიოდო ცუსინის საგენტო იტყობინება, პრემიერ-მინისტრმა ხატოიამამ დღეს მრჩეველთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიაში განაცხადა, რომ არასწორი იყო პოლიტიკა ყოფილ პრემიერ-მინისტრ იოსიდასი, რომელიც სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ურთიერთობის ნორმალიზაციის წინააღმდეგ გამოდიოდა.

„საბჭოთა კავშირი, — თქვა ხატოიამამ, — იმ გეზს აღგას, რომლის მიზანია მშვიდობისა როგორც ევროპაში, ისე აზიაში და ამიტომ სწორი იქნება — მთავრობა შეეცადოს რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებას“.

შემდეგ ხატოიამამ განაცხადა, რომ მას იაპონიისათვის ბუნებრივად მიაჩნია უფრო მჭიდრო ურთიერთობა დაამყაროს სსრ კავშირთან, აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, თუ გავითვალისწინებთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გავლენას მსოფლიოს ამ ნაწილში.

უცხოეთის გამოხმაურება ცნობაზე „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში“

პეკინი, 11 აპრილი. (საკდესი). ცენტრალურმა გაზეთებმა „ჟენმინიებაომ“, „გუანმინიებაომ“, „ბეიჰინიებაომ“ და სხვებმა პირველ გვერდზე გამოაქვეყნეს ცნობა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში“. გაზეთები ამ ცნობას ბეჭდავენ სათაურით: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო წინადადებით მიმართავს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს — გაუქმოს ინგლის-საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებები“. ცნობა არაერთხელ გადასცეს პეკინის რადიომ, აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა ქალაქების რადიოსადგურებმა.

შანხაი, 11 აპრილი. (საკდესი). დღეს შანხაის ყველა გაზეთმა დაბეჭდა ცნობა, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში შეიტანა წინადადება ინგლის-საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებათა გაუქმების შესახებ.

ვარშავა, 11 აპრილი. (საკდესი). ვარშავის ყველა გაზეთი დღეს პირველ გვერდზე დიდი სათაურებით ბეჭდავს ცნობას „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში“.

„ტრიბუნა ლიუდუ“ ბეჭდავს აგრეთვე გაზეთ „პრავდის“ 1955 წლის 10 აპრილის მოწინავის „აუცილებელი ნაბიჯის“ დაწვრილებითს შინაარსს.

სოფია, 11 აპრილი. (საკდესი) ბულგარეთის ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა ცნობა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში“, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში შეტანილია წინადადება ინგლის-საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებათა გაუქმების შესახებ.

ბუდაპეშტი, 11 აპრილი. (საკდესი). გუშინ უნგრეთის ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა ცნობა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში“. დღეს გაზეთმა „საბად ნეპმა“ გადაბეჭდა „პრავდის“ 1955 წლის 10 აპრილის მოწინავე სტატია.

ბელგრადი, 11 აპრილი. (საკდესი). ბელგრადის ყველა გაზეთი თვალსაჩინო ადგილას დიდი სათაურებით აქვეყნებს ცნობას „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში“. გაზეთები „ბორბა“ და „პოლიტიკა“ ხაზგასმით აღნიშნავენ ცნობის იმ ნაწილს, სადაც ნათქვამია, რომ ინგლისმა და საფრანგეთმა თავიანთი მოქმედებით, რომლის მიზანია მოახდინონ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია და დასავლეთის სამხედრო კავშირში შეიყვანონ იგი, დაარღვიეს საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულების დადების დროს ნაკისრი ვალდებულებანი.

ლონდონი, 11 აპრილი. (საკდესი). ლონდონის გაზეთები დღესაც არ გამოსულა იმასთან დაკავშირებით, რომ გრძელდება სტამბის მუშაობა გაფიცვა. ცნობის „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში“ პროვინციული გაზეთების „სკოტსმენის“, „მანჩესტერ გარდიანის“ მიერ გაკეთებული კომენტარები, რომლებიც ლონდონში მიიღეს, შედგენილია ტენდენციურად. გაზეთები ცდილობენ მოახსნან პასუხისმგებლობა ინგლისისა და საფრანგეთის მმართველ წრეებს, რომლებმაც თავიანთი მოქმედებით პარიზის შეთანხმებათა დასამტკიცებლად ხაზი გადაუსვეს ინგლის-საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებებს. ცდილობს რა გაამართლოს დასავლეთის სახელმწიფოთა პოლიტიკა, რომელსაც პარიზის შეთანხმებანი მოჰყვა, „სკოტსმენი“ აშკარად ამბინჯებს ფაქტებს. ეს გაზეთი ცდილობს საბჭოთა კავშირს დააკისროს პასუხისმგებლობა შექმნილი მდგომარეობისათვის.

ამავე დროს „სკოტსმენი“ აღიარებს, რომ პარიზის შეთანხმებანი დასავლეთის სახელმწიფოებისათვის ერთ-ერთი ფაქტორია მათს „ძალის პოზიციის“ პოლიტიკაში.

გაზეთი „მანჩესტერ გარდიანი“ წერს, რომ „საბჭოთა მთავრობას ხელშეკრულებათა ოფიციალური გაუქმების გზით, უეჭველია, სურს ერთხელ კიდევ ცხადყოს, რომ იგი ურყევად ეწინააღმდეგება დასავლეთ გერმანიის შეიარაღებას“.

ბრიუსელი, 11 აპრილი. (საკდესი). ბელგიის ბურჟუაზიულმა გაზეთებმა „სუარმა“, „მეტროპოლმა“, „ნასიონ ბელჟმა“ და სხვ. გამოაქვეყნეს ცნობა, რომ საბჭოთა მთავრობამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში შეიტანა წინადადება საფრანგეთ-საბჭოთა კავშირისა და ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებათა გაუქმების შესახებ. გაზეთები თავს იკავებენ საკუთარი კომენტარებისაგან. მაგრამ ისინი ამ ცნობებს ტენდენციურ სათაურებს უკეთებენ, ამახინჯებენ რა საბჭოთა მთავრობის პოზიციას. ბურჟუაზიული პრესა, და კერძოდ გაზეთი „დერნიერ ერი“, იმეორებენ ინგლისისა და საფრანგეთის პროპაგანდის მტკიცებას, თითქოს პარიზის შეთანხმებანი შეესაბამებოდეს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას. ეს მტკიცება ფაქტებს ეწინააღმდეგება.

ანკარა, 11 აპრილი. (საკდესი). გაზეთმა „ანისმა“ მოათავსა ცნობა მოსკოვიდან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადების შესახებ, რომელიც შეტანილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველად და რომელიც ეხება ინგლის-საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებათა გაუქმებას.

ედგარ ფორის განცხადება ამერიკული ჟურნალის კორესპონდენტისადმი

ნიუ-იორკი, 11 აპრილი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის საგენტოს ცნობით, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ედგარ ფორმა ჟურნალ „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტის“ კორესპონდენტთან საუბარში, რომელიც 11 აპრილს გამოქვეყნდა, განაცხადა: იგი ეშმაკობა იმას, რომ „რაც შეიძლება მალე იქნას მოწვეული დასავლეთის სამი სახელმწიფოს და საბჭოთა კავშირის თათბირი“. გამოთქვა რა იმედი, რომ თათბირი საფრანგეთის, ინგლისის, შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების მონაწილეობით შეიძლება გაიმართოს ივლისში, ფორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ, მისი აზრით, უნდა შეიკრიბონ აგრეთვე ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურები. „თუ ჩვენ გვსურს მივაღწიოთ შედეგებს, — განაცხადა ფორმა, — უეჭველია, უნდა შევიკრიბოთ ოთხი სახელმწიფოს თათბირზე უმაღლეს სფეროებში“. მაგრამ ფორს გარკვეული არაფერი უთქვამს ასეთი თათბირის მოწყობის შესაძლებელ ვადებზე.

კითხვაზე, მიაჩნია თუ არა მას შესაძლებლად იმ საკითხების ნამდვილი მოწესრიგება, რომელნიც საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავებას იწვევენ, ფორმა დადებითად უპასუხა.

შემდეგ ფორი შეეხო მდგომარეობას შორეულ აღმოსავლეთში და ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მისი მთავრობა აპირებს მიაღწიოს „კომუნისტური ჩინეთის ერთიანლივ ცნობას დასავლეთის ყველა სახელმწიფოს მიერ“.

პაკისტან - ეგვიპტის მოლაპარაკება

კარაჩი, 11 აპრილი. (საკდესი). კარაჩში გრძელდება აქ მყოფ ეგვიპტის პრემიერ-მინისტრ ნასერისა და პაკისტანის მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენელთა მოლაპარაკება. 10 აპრილს ნასერს ორი საათის განმავლობაში საუბარი ჰქონდა პაკისტანის გენერალ-გუბერნატორ გულამ მოჰამედთან და პრემიერ-მინისტრ მოჰამედ ალისთან.

როგორც მოჰამედ ალიმ აღნიშნა, მოლაპარაკება შეეხებოდა შუა აღმოსავლეთის პრობლემებს და საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებს. მოჰამედ ალიმ თავი აარიდა პასუხს კითხვაზე, თუ როგორია ეგვიპტის დამოკიდებულება თურქეთ-ერაყის სამხედრო პაქტისადმი.

უპასუხა რა პრესის წარმომადგენელთა კითხვებზე, ეგვიპტის ეროვნული ხელმძღვანელობის მინისტრმა სალაჰ სალემმა განაცხადა, რომ ეგვიპტეს თავისთვის „შესაფერისად“ არ მიაჩნია რაიმე სამხედრო კავშირში შესვლა, რასაც დასავლეთი ქმნის. სალაჰ სალემმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პაკისტანი და ეგვიპტე სხვადასხვა ტაქტიკას ადგანან საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში.

ისრაელ - ეგვიპტის სასაზღვრო ინციდენტი

კაირო, 11 აპრილი. (საკდესი). გაზეთებში გამოქვეყნდა ეგვიპტისა და ისრაელის შეიარაღებულ ძალებს შორის ახალი სასაზღვრო შეტაკების შესახებ.

ცნობაში ნათქვამია, რომ 9 აპრილს ღაზის სექტორში ისრაელის სამხედრო ავტომანქანამ დაარღვია სადემარკაციო ხაზი და ნაღმს წააწყდა პალესტინის ტერიტორიაზე, რომელსაც კონტროლს უწევს ეგვიპტე. ინციდენტის ადგილას ისრაელებმა გაგზავნეს დამხმარე ძალა და ისრაელისა და ეგვიპტის ჯარებს შორის ატყდა თოფისა და ნაღმმტყორცნების სროლა.

აჭარის ხეხილის გაღეგში

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალწარმტაცია საქართველოს შავიზღვისპირა რაიონები, სადაც რესპუბლიკაში ყველაზე ადრე იწყება გაზაფხული, საოცარი სისწრაფით იზრდება მცენარეები.

მცხუნვარე მზის სხივები ამ მხარეს უხვად აწვდის მაცოცხლებელ სითბოს, მყისვე იღვიძებს ბუნება, ზღვით მონაბერი ნიავი ეალერსება აბიბინებულ მინდვრებს, აკოჩრილ კორდებს, ფერადი ყვავილებით მორთულ მიდამოებს. რა ლამაზია ეს მხარე!.. ეს ზღვის უბრალო სანაპირო კი არა, ნამდვილი წალკოტია.

შავიზღვისპირა რაიონებში გაზაფხული სრულ ძალაში შევიდა. გაიფურჩქნა და აყვავდა ტყემალი, ნუში, მსხალი, ვაშლი და სხვა მცენარეები. ბავშვები ხალისით ტაბებიან ყვავილების სურნელებით და ბუნების ამ სილამაზეში აქსოვენ მომავლის ასეთივე წარმტაც სურვილებს.

სურათზე: ბათუმის მე-14 ქართული საშუალო სკოლის ახალგაზრდა ნატურალისტები ფერი ლომთაძე და ნარგიზ კაპანაძე ხეხილის ბაღში ათვალიერებენ აყვავებულ ფსხალს.

ფოტო ნ. ანასტასიევისა.

შეფების შეხვედრა კოლმეურნეობების წარმომადგენლებთან

თბილისის ბეკრი საწარმო შეფობას უწევს კოლმეურნეობებს, მტს-ებს იმ ამოცანების წარმატებით შესრულებაში, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა დასახა. 11 აპრილს ადგილობრივი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა საშეფო მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით მოაწყო შეფობის შეხვედრა კოლმეურნეობებისა და მტს-ების წარმომადგენლებთან.

თბილისის ქიმიურმა კომბინატმა ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში გაიყვანა წყლის მილები, მოამარაგა კოლმეურნეობა საჭირო საღებავი მასალებით; თბილისის № 3 ავტრის ქარხანამ ტაბახმელის კოლმეურნეობას გადასცა რამდენიმე ათასი ცალი აგური და ა. შ. ამაზე ილაპარაკა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის მოადგილემ ამხ. ვ. უთალიშვილმა და ყურადღება გაამახვილა საშეფო მუშაობის შემდგომ გაძლიერებაზე.

სიტყვებით გამოვიდნენ თბილისის ლითონკონსტრუქციების ქარხნის მთავარი ინჟინერი გ. ფანცულაია, ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი ა. ბარამიძე, 26 კომისრის მანქანათმშენებელი ქარხნის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ი. მინდიაშვილი, ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი ა. სკანდარავი, თბილისის კალინინის სახელობის ქარხნის დირექტორი ვ. ბერუჩაშვილი, სასოფლო-სამეურნეო იარაღმანქანების ქარხნის მუშა კვინიკაძე.

შეხვედრის შემდეგ მოეწყო ადგილობრივი მრეწველობის საწარმოების მიერ სოფლის მეურნეობისათვის გამოშვებული პროდუქციის ნიმუშების ჩვენება. დასასრულ შეიდგა ადგილობრივი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის წევრთა მხატვრული თვითმოქმედების კონცერტი.

ვ. აბაშიძის ხსოვნის აღსანიშნავად

11 აპრილს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და რუსთაველის სახელობის თეატრმა მოაწყეს რესპუბლიკის სახალხო არტისტის ვასო აბაშიძის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

საღამო მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ შ. დადიანმა. ვ. აბაშიძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენება წაიკითხა პოეტმა ი. გრიშაშვილმა.

სიტყვებით და მოგონებებით გამოვიდნენ ა. ვასაძე, პ. ფრანგიშვილი, ვ. კუპრავა, მ. ყვარელაშვილი, მ. დუდუჩავა, თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივის წარმომადგენელი ი. ხაბვიაშვილი, ვ. აბაშიძის სამშობლოს — საჩხერის რაიონის სოფელ საკენეს მშრომელთა სახელით ნ. ძინძიბაძე-დადიანი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნუცა ჩხეიძე, ვ. აბაშიძის ასული — რესპუბლიკის სახალხო არტისტი ტ. აბაშიძე.

მხატვრულ განყოფილებაში რუსთაველის სახელობის თეატრის მიერ წარმოდგენილი იქნა სპექტაკლ „პეპოს“ მეორე მოქმედება, ხოლო ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის მიერ — რამდენიმე სურათი სპექტაკლებიდან „აროშინ მალ-ალან“ და „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“.

თეატრის ფოიეში საქართველოს სახელმწიფო თეატრალურმა მუზეუმმა მოაწყო ვ. აბაშიძის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენა.

ამ დღეებში საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ ვ. აბაშიძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოაწყო მოხსენებები კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ და № 1 ბურის ქარხნებში, მხატვრული თვითმოქმედების კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში.

რედაქტორი ნ. ჯაში.

დისერტაციების დაცვა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი

(წელაქიშვილის ქ. № 10)

ა. წ. 26-IV დღის 1 საათზე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

1. **მარიამ ზაალის ასული მჭედლიშვილი**

თემაზე: „ქრონიკული შემოსაზღვრული ნეოროდერმიტების პათომორფოლოგიის საკითხისათვის“.

2. **ზაალ თეოფილეს-ძე ხუსაინაძე**

თემაზე: „К вопросу терапии глубоких форм пиодермитов стафилофагом“.

ა. წ. 3-V დღის 1 საათზე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

1. **ალექსანდრა სტეფანეს ასული სულაკაძე**

თემაზე: „პერიფერიული სისხლის და ძვლის ტვინის ცვლილებები დიზენტერიის დროს ბავშვთა ასაკში“.

2. **თენგიზ ვლადიმერის-ძე ზაქარიაძე**

თემაზე: „ტუბერკულოზის მიკობაქტერიების სტრეპტომიცინისადმი გამძლეობისა და მისი კლინიკური მნიშვნელობის საკითხისათვის“.

დისერტაციების გაცნობა შეიძლება სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).

მეფეღლე მარო ოჯახით იუწყება

ნიკოლოზ მიხეილის-ძე კლიეოვის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13-IV, 7½ ს. გამოსვენება 14-IV, 6 ს. ფარკოფელის ქ. № 27 (ლენინის რაიონი).

დედა დოდო ოჯახით, მეუღლე პელო, შვილები შუტუ, კარლო, არიადნა, გუგული, გულნაზი იუწყებიან

მიხაკო გლახუნის-ძე გოგოტიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-IV სოფელ ვაკიჯვარში (ზესტაფონის რაიონი).

დები ნადია, ეფრო, ნინო, ძმა სამსონ ოჯახებით იუწყებიან

ზინა ფარნაოზის ასულ ფაჩულიანი-გრიგოლაიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14-IV, 6 ს. ფალიაშვილის ქ. № 64. დაკრძალვა 16-IV ქ. ოჩამჩირეში, გამოსვენება რუსთაველის ქ. № 94.

მოქალაქე ალექსანდრე ივანეს-ძე კურატაშვილმა, მცხოვრებმა კრონეკელის ქ. № 47, აღძრა საქმე სალიანის ქ. № 16 მცხოვრებ **გიანე მირონის ასულ ტაბლიაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე მიხეილ გიორგის-ძე ძულიაშვილმა, მცხოვრებმა ტყეკულტურის მე-3 შესახვევი № 4, აღძრა საქმე ელმავლის ქ. № 1 მცხოვრებ **მოქალაქე იულია ნიკოლოზის ასულ ნასყიდაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლო.

მშობლები ნინო, აკაკი ოჯახით იუწყებიან

აჩიკო აკაკის-ძე მეგრელიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15-IV, 8 ს. გამოსვენება 16-IV, 5 ს. გოგოლის ქ. № 60.

შვილები გრიშა, ნიკოლოზ, კონსტანტინე ოჯახებით იუწყებიან

ოლია გაბრიელის ასულ ტაბიძე-ზამთარაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-IV, 5 ს. ქ. სოხუმში, გამოსვენება ბინიდან, კიროვის ქ. № 16.

მეუღლე ლიდა ჟორდანია, შვილი ეთერ იუწყებიან

გაბრიელ პეტრეს-ძე ლუნიოვის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13-IV, 8 ს. გამოსვენება 14-IV, 5 ს. სამხედრო ქ. № 13.

დარია ხელაშვილი ოჯახით და ნათესავებით იუწყება

ივლიტა დიმიტრის ასულ ხელაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13-IV, 8 ს. ქალაქის II საავადმყოფოს პროზექტურაში. გამოსვენება 14-IV, 6 ს. იქიდანვე.

საკავშირო გაერთიანება „ზაგოტხერნოს“ საქართველოს რესპუბლიკური კანტორის თანამშრომლები იუწყებიან

ვიქტორ რომანის-ძე ბაქრაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 14-IV, 5 ს. მერკვილაძის ქ. № 20.

მეუღლე ელენე, შვილები ნუგზარ, ალიკო იუწყებიან

გიორგი ალექსის-ძე არაქელოვის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-IV, 2 ს. სოფელ კავთისხევში (ასპის რაიონი).

შვილები ნორა, ვალიკო ოჯახებით იუწყებიან

მიხეილ ნესტორის-ძე ელიავის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-IV სოფელ სამებაში (ჩოხატაურის რაიონი).

ავსტრიის დამოუკიდებლობისა და მშვიდობიანი განვითარებისათვის

ათი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა არმიამ გამარჯვება მოიპოვა გაფთრებულ ბრძოლებში ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ და ჰიტლერული ჩაგვრისაგან გათავისუფლა ავსტრია. 1945 წლის 13 აპრილს ჰიტლერელები განდევნილ იქნენ ავსტრიის დედაქალაქ ვენიდან. საბჭოთა არმიის — გამმათავისუფლებელი არმიის სახელოვან გმირობას ვერასოდეს და ვერავინ ვერ აღმოუხვრის ხალხის ხსოვნიდან. ყოველმა პატიოსანმა ავსტრიელმა იცის და ახსოვს, ვის უნდა უმადლოდეს მისი სამშობლოს ფაშისტური მონობისაგან განთავისუფლებას და მშვიდობიანი შრომისადმი დაბრუნების შესაძლებლობას.

შემდგომმა ათმა წელიწადმა ავსტრიაში განვლო ევროპის ცენტრის ამ პატარა ქვეყნის მიმართ პოლიტიკის ორ ხაზს შორის ბრძოლის ნიშნით.

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა წრეებმა და მათმა თანამოაზრეებმა დასავლეთში საოკუპაციო რეჟიმი ავსტრიაში იმისათვის გამოიყენეს, რომ ხელი შეეშალათ დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე ძალების ზრდისათვის და მის ტერიტორიაზე გაეჩაღებინათ მზადება მათ მიერ განზრახული ახალი ომისათვის. მათ თავს მოახვიეს ავსტრიას ყბადაღებულ „მარშალის გეგმაში“ მონაწილეობა, რამაც ავსტრიის ეკონომიკა ამერიკის მონოპოლიებზე კაბალურ დამოკიდებულებაში ჩააყენა. ავსტრიის რეაქციულ ფენებზე დაყრდნობით მათ, ავსტრიის შესახებ ოთხი სახელმწიფოს შეთანხმებათა საწინააღმდეგოდ, ყოველი ღონე იხმარეს, რომ შეაძლებელი გაეხადათ ნეოფაშისტური და მილიტარისტული ორგანიზაციების შექმნა, გაეღვივებინათ მტრობა საბჭოთა კავშირისადმი.

საბჭოთა კავშირის მტკიცე და თანმიმდევრული პოლიტიკის მიზანი განვლილი ათი წლის მანძილზე ის იყო, რომ უზრუნველეყო ავსტრიის როგორც დამოუკიდებელი და დემოკრატიული ქვეყნის მშვიდობიანი მომავალი. ეს პოლიტიკა შეესაბამება ავსტრიელი ხალხის მასების სასიცოცხლო ინტერესებს. აგრეთვე ევროპის მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებს.

მიმდინარე წლის 8 თებერვალს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე გაკეთებულ მოხსენებაში განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ავსტრიის საკითხის — ევროპის მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ინტერესების შესაბამისად დამოუკიდებელი დემოკრატიული ავსტრიის სრული აღდგენის საკითხის მოწესრიგებას. ვ. მ. მოლოტოვმა კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობას სრულიად გაუმართლებლად მიაჩნია შემდგომი გაჭიანურება ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების დადების საქმეში. ვ. მ. მოლოტოვის მოხსენებაში ჩამოყალიბებული იყო საბჭოთა მთავრობის დასკვნები ავსტრიის საკითხთან დაკავშირებით, რომელნიც განსაზღვრავენ ამ საკითხის გადაწყვეტის კონკრეტულ გზებსა და შესაძლებლობებს ისე, რომ აღარ იყოს რაიმე ახალი დაყოვნება.

როგორც ცნობილია, ავსტრიის შთანთქმა (ანშლუსი) მუდამ იყო გერმანელი მილიტარისტების დამპყრობლური პროგრამის ერთ-ერთი პირველი და ძირითადი პუნქტი. 1938 წლის მარტში ჰიტლერელთა ჯარებმა გადალახეს საზღვარი შლაგბაუმები და ფეხქვეშ გათელეს ავსტრიის დამოუკიდებლობა. მათ ეს დაპყრობა განახორციელეს ავსტრიაში თავიანთი „მეხუთე კოლონის“ მხარდაჭერით. ამის შედეგად ავსტრიის რესპუბლიკა აღარ არსებობდა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და გადაიქცა „ოსტმარკად“ — ჰიტლერული „რაიხის“ ერთ-ერთ ოლქად. არ შეიძლება ისტორიის ამ გაკვეთილების უგულებელყოფა ჩვენს დღეებში, როცა მრავალი ფაქტი მოწმობს, რომ დასავლეთგერმანელ რევანშისტებს განზრახული აქვთ მიაღწიონ ახალ ანშლუსს.

ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ დასავლეთ გერმანიის მინისტრმა იაკობ კაიზერმა მოითხოვა, რომ გერმანიის შემადგენლობაში შეყვანილ იქნას „ავსტრიაც“. ბონის სხვა მინისტრებმა ვიეე-კანცლერ ბლიუხერის მეთაურობით შარშან ბონში მოაწყეს თათბირი ანშლუსის მომხრე ავსტრიელ ნეოფაშისტებთან „მოქმედების საერთო პროგრამის“ შემუშავების მიზნით. უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთგერმანელი რევანშისტები ამ მხრივაც თავიანთ ჰიტლერელ წინამორბედთა კვალს მიჰყვებიან. ისინი კვლავ ქმნიან თავიანთ „მეხუთე კოლონას“ ავსტრიაში ნეოფაშისტურ დაჯგუფებათა სახით, რომლებიც ქადაგებენ პანგერმანიზმის იდეებს მილიტარისტულ „ჯარისკაცთა კავშირების“ სახით და სხვ. ასეთ ორგანიზაციათა რიცხვს ეკუთვნის ე. წ. „დამოუკიდებელთა კავშირი“, რომლის მეთაურები აშკარად აცხადებენ, რომ „საზღვარი გერმანიასა და ავსტრიას შორის უხილავია“.

თავისთავად იგულისხმება, ბონელი პოლიტიკოსები დროდადრო აკეთებენ აშკარად ინსპირირებულ „დამამშვიდებელ“ განცხადებებს იმის შესახებ, რომ „ანშლუსის პრობლემა“ თითქოს „არ არსებობს“. ეს ყალბი განცხადებანი, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ფაქტებს, მიზნად ისახავენ ხელი შეუშალონ გარანტიის შექმნას ანშლუსის წინააღმდეგ და ამით გაუადვილონ ამოცანა ავსტრიის კვლავ ხელში ჩაგდების ორგანიზატორებს.

ამ გეგმებთან პირდაპირ დაკავშირებულია ყოფილი ჰიტლერელი ფელდმარშლის კესელრინგისა და ძველი ფაშისტური ვერმახტის იმ სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლების საინსპექციო მოგზაურობა ავსტრიაში, რომლებიც ახლა მოქმედებენ დასავლეთ გერმანიაში. ამ გეგმების შემადგენელი ნაწილია აგრეთვე დასავლეთ გერმანიის მონოპოლიების ცდა დაიბრუნონ წინანდელი ხელმძღვანელი მდგომარეობა ავსტრიის ეკონომიკაში „გერმანელთა ქონების დაბრუნების“ გზით. ახალი „ანშლუსის“ საფრთხე მნიშვნელოვნად ძლიერდება, რაკი დასავლეთგერმანელი რევანშისტები მიიღებენ იარაღის პარიზის სამხედრო შეთანხმებათა საფუძველზე.

ავსტრიის დამოუკიდებლობასა და მშვიდობიან არსებობას მეორე რიგი ფაქტორებიც უქმნის ამერიკისა და ინგლისის სამხედრო ხროვის განზრახვები — გამოიყენოს ავსტრიის ტერიტორია აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის დასაყრდენი ბაზების განსაკუთრებულ. უკვე ახლა ავსტრიის დასავლეთ ნაწილში სამხედრო ნაგებობანი შენდება ამ მიზნისათვის. როგორც ავსტრიის პრესა აღნიშნავდა, ავსტრიის ტერიტორიაზე სამხედრო მანევრები ეწყობა ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის შტაბის მითითებით.

ფაქტები ცხადყოფენ, თუ რამდენად ღრმად არის დასაბუთებული საბჭოთა კავშირის წინადადებანი ავსტრიის საკითხზე. ყველა რეალისტურად მოაზროვნე პოლიტიკოსი იძულებულია აღიაროს ეს, თუ იგი დაბრმავებული არ არის რეაქციული პროპაგანდით, რომელიც ცდილობს ჩაშალოს ავსტრიის ხელშეკრულების დადება.

საბჭოთა მთავრობის 8 თებერვლის წინადადებათ